განმცხადებელი: გიორგი კაპანაძე

თარიღი: 11.10.2023

მივიჩნევ, რომ ჟურნალისტმა/რედაქტორმა დაარღვია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპ(ებ)ი: პრინციპი 1; პრინციპი 3 და პრინციპი 11.

ინფორმაცია ჟურნალისტის/რედაქტორის შესახებ, რომელმაც სავარაუდოდ დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპები:

ტელეკომპანია ფორმულა; სოფო ვარდიაშვილი

სადავო მასალა:

https://fb.watch/nBasVicjKs/?mibextid=cr9u03

ჟურნალისტის/რედაქტორის მიერ ქარტიის პრინციპების დარღვევის დასაბუთება:

ტელეკომპანია „ფორმულა" ცდილობს გიორგი კაპანაძის დისკრედიტაციას და ამისთვის მიზანმიმართულ კამპანიას ატარებს. წინამდებარე საჩივარში წარმოგიდგენთ სადავო ჟურნალისტურ მასალას, სადაც გიორგი კაპანაძეს უკავშირეს შპს „საბა კონსტრაქშენს" და აცხადებს, რომ გიორგი კაპანაძის კომპანია შპს „საბა კონსტრაქშენს" 200 მილიონი ლარი გადაეცა დაუსაბუთებლად და სამუშაოებზე მას პასუხს არავინ სთხოვს.

ჟურნალისტი სიუჟეტის დასაწყისში განმარტავს:

*2024 წლის საარჩევნო ყულაბა ქართული ოცნებისთვის 200 მილიონით ივსება, გნაცხადებას ბათუმის საკრებულოს წევრი რეზო ხარაზი აკეთებს. მისი თქმით რამდენიმე თვის წინ პრემიერის მიერ გამოცხადებული კურორტების განვითარების მილიარდიანი პროგრამის ფარგლებში ბათუმში სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაობისთვის 200 მილიონი ლარი გამოიყო, თუმცა არ არის კონკრეტული მითითება სად და რაში დაიხარჯება ეს თანხა. ტენდერის თანხმად 200 მილიონ ლარს განკარგავს შპს „საბა კონსტრაქშენი", რომელიც დაკავშირებულია ქართულ ოცნებასთან და ბიძინა ივანიშვილთან და ასევე ბიზნესმენ **გიორგი კაპანაძესთან, იგივე რიჟასთან**. რეზო ხარაზმა ოფიციალური წერილები მისწერა შესაბამის უწყებებს თანხის ხარჯვასთან დაკავშირებით ინფორმაციის მისაღებად, თუმცა ამ დრომდე პასუხები არ მიუღია. ოპოზიციონერი დეპუტატი ვარაუდობს, რომ ეს თანხა შავი ფულია, რომელსაც მმართველი გუნდი საარჩევნოდ გამოიყენებს."*

ზემოთ აღნიშნული ფრაზებით კი ჟურნალისტი ფაქტის სახით აცხადებს, რომ შპს „საბაკონსტრაქშენის" მფლობელი გიორგი კაპანაძეა, რაც, რა თქმა უნდა, სიმართლეს არ შეესაბამება. ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის 1-ლი პრინციპის შესაბამისად „ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას - მიიღოს ზუსტი ინფორმაცია". **მოცემულ შემთხვევაში კი ფაქტია, რომ ჟურნალისტი არ ავრცელებს სწორ ინფორმაციას.** იმ შემთხვევაში, თუ ჟურნალისტი ავრცელებს რესპოდენტის მიერ თქმულ პოზიციას, მაგ შემთხვევაშიც მოეთხოვება გადაამოწმოს ინფორმაციის სისწორე და შემდეგ მიაწოდოს საზოგადოებას ინფორმაცია. ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მე-3 პრინციპის შესაბამისად ჟურნალისტმა უნდა გადასცეს ინფორმაცია მხოლოდ იმ ფაქტებზე დაყრდნობით, რომელთა წყარო დადასტურებულია. მოცემულ შემთხვევაში კი ინფორმაცია იმდენად არასწორია, რომ შეუძლებელია წყაროს დადასტურება, რითიც ჟურნალისტი/რედაქტორი ცალსახად არღვევს გიორგი კაპანაძის უფლებებს.

სიუჟეტში მთელი მსჯელობა მიმართულია გიორგი კაპანაძის დისკრედიტაციისკენ, კერძოდ, ჟურნალისტი საზოგადოებას აწვდის ინფორმაციას რომ გიორგი კაპანაძის კომპანიამ 200 მილიონი ლარი მიიღო და ვერ ასაბუთებენ ამ თანხის განკარგვას. სიუჟეტის დასაწყისს კი აცხადებს რომ *2024 წლის საარჩევნო ყულაბა ქართული ოცნებისთვის 200 მილიონით ივსება.* სიუჟეტის მსჯელობა მიმართულია იქით, რომ გიორგი კაპანაძე მთავრობას 200 მილიონ ლარს უბრუნებს წინასაარჩევნოდ, რაც, ცალსახად არასწორი ინფორმაციის გავრცელება და არასწორი ფაქტებით მანიპულაციის მცდელობაა. მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ ჟურნალისტი შეგნებულად ამახინჯებს ფაქტებს, რაც ქარტიის მე-11 პრინციპის დარღვევის თვალსაჩინო მაგალითია. მე-11 პრინციპის შესაბამისად ჟურნალისტის უმძიმეს პროფესიულ დანაშაულად მიიჩნევა ფაქტის განზრახ დამახინჯება.

<u>გადაცემაში მითითებული ფრაზების წარმოთქმით ჟურნალისტი არღვევს ეთიკის ქარტიის პირველ პრინციპს ქარტიის პირველი პრინციპის თანახმად *„ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას - მიიღოს ზუსტი ინფორმაცია“.*</u>

უმნიშვნელოვანესია ის გარემოებაც, რომ გიორგი კაპანაძემ 2021 წლის 27 მაისს ჟურნალ „პრაიმტაიმთან“ გააკეთა კომენტარი შპს „საბა ქონსთრაქშენის“ საკითხთან დაკავშირებით. აღნიშნულ ინტერვიუში გიორგი კაპანაძემ განმარტა, რომ მის არც ერთ კომპანიას არასდროს მიუღია რომელიმე სახელმწიფო ტენდერში მონაწილეობა. აღნიშნული ცხადყოფს, რომ ტელეკომპანია „ფორმულას“ ჟურნალისტები თავს არიდებენ მაქსიმალურად ინფორმაციის გადამოწმებას ან შეგნებულად არ აფიქსირებენ მათთვის არასასურველ პოზიციებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, გიორგი კაპანაძის ინტერვიუ სიუჟეტში აუცილებლად უნდა მოხვედრილიყო და შესაბამისი კომენტარი გაკეთებულიყო.

ქარტიის მე-3 პრინციპის შესაბამისად *„ჟურნალისტმა უნდა გადასცეს ინფორმაცია მხოლოდ იმ ფაქტებზე დაყრდნობით, რომელთა წყარო დადასტურებულია“,* უნდა ჩანდეს ჟურნალისტის მცდელობა, რომ მან ბოლომდე გადაამოწმა ფაქტები, რათა გამოექვეყნებინა სიმართლე და ზუსტი ინფორმაცია. ამასთან, ზუსტ ინფორმაციად ჩაითვლება ორ წყაროსთან გადამოწმებული ინფორმაცია, რომელშიც იდენტიფიცირებულია ადამიანი, ადგილი, მოვლენა, რასაც ეხება ინფორმაცია. კონკრეტულ შემთხვევაში კი სადავო ჟურნალისტურ მასალაში საერთოდ არ არის მითითება იმის შესახებ, თუ ვისთან იქნა გადამოწმებული გავრცელებული ფაქტი და ბუნებრივია ეს ვერც იქნებოდა მითითებული, ვინაიდან, გიორგი კაპანაძეს რაიმე სახის კავშირი „საბა კონსტრაქშენთან“ არ აქვს. ჟურნალისტის ვალდებულებაა საზოგადოებას მიაწოდოს სწორი, სულ მცირე გადამოწმებული ინფორმაცია მაინც და დაიცვას ჟურნალისტური საქმიანობის მთავარი პრინციპი - პატივი სცეს საზოგადოებას ზუსტი ინფორმაციის მიწოდებით.

მოგმართავთ თხოვნით, შეფასება მისცეთ ზემოთაღნიშნულ გარემოებებს და დაადგინოთ ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პირველი, მე3-ე და მე-11 პრინციპების დარღვევა.

პატივისცემით,

გიორგი კაპანაძე